ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3351513

ნომერი: AR1512290

თარიღი : 21.06.2017

გაცემის თარიღი : 26.06.2017

გაცნობის თარიღი : 28.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაისურაძე , N 11 , (ნაკვ. 04/007) / ქალაქი თბილისი , ვერკეთილი, ზემო პლატო , თრიალეთის N 54-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბესიკ თოდუა პ/ნ 01010005245
- ჭოქაძის ქ.#10ა ბინა #28

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 5 მაისის №3246883 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 21 ივნისს №AR1512290 განაცხადით მომართა ბესიკ თოდუამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 5 მაისის №3246883 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 5 მაისის №3246883 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, ქუჩა მაისურაძე, N11, (ნაკვ. 04/007) / ქალაქი თბილისი, ვერკეთილი, ზემო პლატო, თრიალეთის N 54-ის მიმდებარედ, შპს „კალო“ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.19.20.004.043), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობად 1349.91 კვ.მ-ის ნაცვლად 1342.02 კვ.მ-ის და შესაბამისად საერთო ფართობად 8390.27 კვ.მ-ის ნაცვლად 8382.38 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა სათანადო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლები შეესაბამება სამსახურის 2017 წლის 5 მაისის №3246883 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და განმცხადებლის მოთხოვნა აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 5 მაისის №3246883 ბრძანებაში, კერძოდ, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: ავტოსადგომის ფართობი 1342.02 კვ.მ და საერთო ფართობი 8382.38 კვ.მ. სამსახურის 2017 წლის 5 მაისის №3246883 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 5 მაისის №3246883 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.